კახა შენგელია, სვეტლანა (ლანა) ქევხიშვილი, მერი ხვიჩია, ანასტასია გუდაძე

ISCTE ლისაბონის უნივერსიტეტი, პორტუგალია

Erasmus+ ადმინისტრაციული მობილობის პროგრამის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი კახა შენგელია, პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი სვეტლანა (ლანა) ქევხიშვილი, სტუდენტური და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახურის უფროსი მერი ხვიჩია და სტუდენტური და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახურის მენეჯერი ანასტასია გუდაძე, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ISCTE ლისაბონის უნივერსიტეტში, პორტუგალია.

ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა სხვადასხვა გაცნობითი და სამუშაო შეხვედრები ISCTE-ის ინტერნაციონალიზაციის მიმართულების ვიცე-პრეზიდენტთან, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინტერნაციონალიზაციის ოფისის წარმომადგენლებთან და ტექნოლოგიებისა და არქიტექტურის სკოლის დირექტორთან.

აღნიშნულ შეხვედრებზე მხარეებმა შეაჯამეს ერაზმუს+ ის კრედიტ მობილობის პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და მობილობები. ლისაბონის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა კოლეგებს ასევე გააცნეს Erasmus+ Mundus-ის სამაგისტრო პროგრამები და ისაუბრეს საერთაშორისო საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და თანამშრომლობის შესახებ.

ტექნოლოგიებისა და არქიტექტურის სკოლის წარმომადგენელთან შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ასევე ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობაზე, აკადემიური და ადმინისტრაციული გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობასზე, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და ერთობლივი ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობებზე.